

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია  
ს/კ №443569005

(წესდება)

ქ. ზესტაფონი

„11“ ოქტომბერი 2022წ.

წესდების შესახებ:

**muxli 1. organizaciul-samarTlebrivi forma da saxelwodeba**

- 1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (შემდგომში გიმნაზია) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
- 1.2. გიმნაზიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- 1.3. გიმნაზიის ადგილსამყოფელია: საქართველო, ხარაგაული, რომანოზ დეკანოსიძის ქ. №4 (ს/კ №36.01.33.073).
- 1.4. იურიდიული პირის სახელწოდებაა: „საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია“.
- 1.5. ელ. ფოსტა: [kananelicenter@gmail.com](mailto:kananelicenter@gmail.com);
- 1.6. „გიმნაზიას“ შეიძლება ჰქონდეს ბეჭედი და ანგარიშსწორების ანგარიში საბანკო დაწესებულებებში.

**muxli 2. gimnaziis iuridiuli misamarTi da arsebobis xangrZlivoba**

- 2.1. გიმნაზიის იურიდიული მისამართია: ქ ხარაგაული, რომანოზ დეკანოსიძის ქ. №4 (ს/კ №36.01.33.073).
- 2.2. გიმნაზია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

**Tavi II**

**muxli 3. gimnaziis mizani da saqmianoba**

- 3.1. „გიმნაზია“ ახორციელებს საგანმანათლებლო-საადამიანურდებლო საქმიანობას საქართველოს კანონმდებლობის, კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმების (კონსტიტუციური შეთანხმების - „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“, კანონების – განათლების, შრომის და სამოქალაქო კოდექსებისა და მეწარმეთა შესახებ) და საქართველოს საპატრიარქოსა (შესაბამისად, მარგვეთისა და უბისის ეპარქიის) მართვა-გამგეობის დებულებებისა და საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმების შესაბამისად;
- 3.2. გიმნაზიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული საგანმანათლებლო საქმიანობა.
- 3.3. „გიმნაზიის“ მიზანია:
  - ა) ზოგადი განათლების მიცემა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე;
  - ბ) მოსწავლეების აღზრდა ქრისტიანული ღირებულებების შესაბამისად;
  - გ) ქრისტიანული ცნობიერებისა და ზნეობის განვითარებისათვის შესაბამისი სასწავლო-საადამიანურდებლო პირობების შექმნა;
  - ე) მოსწავლეთათვის ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;

- ე) მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე ზრუნვა.
- 3.4. „გიმნაზია“ უფლებამოსილია განახორციელოს სხვა სახის საქმიანობას, რაც შეესაბამება ეკლესიის ავტორიტეტს, ქრისტიანულ მოძღვრებასა და სწავლა-აღზრდის ამოცანებს;
- 3.5. „გიმნაზია“ *uflebamosilia ganaxorcielos* დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს; ამგვარი საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი უნდა მოხმარდეს მხოლოდ გიმნაზიის მიზნის მიღწევას;
- 3.6. „გიმნაზია“ უფლებამოსილია განახორციელოს სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

### **Tavi III** **wevroba. damfuZnabeli**

#### **muxli 4. wevroba**

4.1. „გიმნაზია“ არ არის წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი.

#### **muxli 5. gimnaziis damfuZnabeli**

5.1. „გიმნაზიის“ დამფუძნებელია ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი“ (ს/კ №430026410).

5.2. დამფუძნებელი უფლებამოსილია განახორციელოს „გიმნაზიის“ ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

### **Tavi IV**

#### **xelmZRvaneloba**

#### **muxli 6. gimnaziis marTva**

6.1. გიმნაზიის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ერთპიროვნულად და მესამე პირებთან ურთიერთობაში ახორციელებს დამფუძნებლის მიერ დანიშნული რექტორი;

6.2. გიმნაზიის რექტორი არის უმაღლესი თანამდებობრივი პირი და ინიშნება დამფუძნებლის არსებობის ვადით, ხელმძღვანელობს და წარმოადგენს გიმნაზიას, ერთპიროვნულად მოქმედებს და გიმნაზიის სახელით, აფორმებს მემორანდუმებს, ხელშეკრულებებს, შეტანსმებებს და ახორციელებს შესაბამის საქმიანობას;

6.3. გიმნაზიის რექტორის არ ყოფნის ან/და მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს აღმასრულებელი დირექტორი;

6.4. საქართველოს კანონმდებლობის დაცვით გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს/ბრძანებებს;

6.5. გიმნაზიის რექტორი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორს და ადმინისტრაციას;

6.6. გიმნაზიის აღმასრულებელი დირექტორი:

ა) აღმასრულებელი დირექტორი წარმართავს გიმნაზიის ყოველდღიურ საქმიანობას;

ბ) დამფუძნებელთან შეთანხმებით, რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს გიმნაზიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გეგმებსა და მიზნობრივ პროგრამებს, წლიური საქმიანობის ანგარიშს;

გ) იწვევს და თავმჯდომარეობს ადმინისტრაციის სხდომებს, პედაგოგთა საერთო კრებებს, პედაგოგთა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას;

დ) უზრუნველყოფს დამფუძნებლისა და რექტორის გადაწყვეტილებათა და დავალებათა შესრულებას;

ე) რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს წესდებას, შინაგანაწესსა და გიმნაზიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა ნორმატიული აქტებს.

- ვ) უზრუნველყოფს გიმნაზიის საფინანსო საქმიანობის კანონიერებას;
- ზ) რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს გიმნაზიის ბიუჯეტსა და ცალკეულ პროექტებს;
- თ) მოითხოვს ანგარიშვალდებულ პირთა ანგარიშს მათი საქმიანობის შესახებ;
- ი) უზრუნველყოფს საქმისწარმოებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- კ) ასრულებს ამ წესდებით, გიმნაზიის სხვა აქტებითა და რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და დავალებებს;

6.7. გიმნაზიის კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტივობებით ქმნის კომისიებს და სხვა სათათბირო ორგანოებს/საბჭოებს და განსაზღვრავს მათი მუშაობის წესს;

6.8. გიმნაზიის რექტორის თანხმობის შემთხვევაში, უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს/ბრძანებებს და გამოიყენოს გიმნაზიის ბეჭედი;

6.9. გიმნაზიას შეიძლება ჰყავდეს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც საკონსულტაციო ორგანოა. საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს რექტორი. საბჭო წარმომადგენლობითი ორგანოა და მისი გადაწყვეტილებები გიმნაზიისთვის სარეკომენდაციო მნიშვნელობისაა.

### **muxli 7. aRmasrulebeli organo**

7.1. გიმნაზიის აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი დირექტორი და ადმინისტრაცია.

7.2. ადმინისტრაცია არის რექტორის აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს რექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის დავალებათა და გადაწყვეტილებათა (ბრძანებების, განკარგულებებისა და სხვა აქტების) აღსრულებას;

7.3. ადმინისტრაციის სტრუქტურა, შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილება დგინდება დებულებით, შინაგანაწესით, რომელსაც ამტკიცებს რექტორი.

## **Tavi V**

### **muxli 8. gimnaziis qoneba**

8.1. გიმნაზიის ქონება იქმნება ვაუჩერის, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობით, შეწირულობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან;

13.2. გიმნაზიის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

## **Tavi VI damfuZneblis kompetencia**

### **muxli 9. cvlilebebi wesdebaSi. saregistracio faqtebi**

9.1. ცვლილებები გიმნაზიის წესდებაში შეიტანება დამფუძნებლისა და ამ წესდებით დადგენილი წესით;

9.2. ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენს სარეგისტრაციო ფაქტს;

9.3. გიმნაზიის რექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სარეგისტრაციო ფაქტების წარდგენა მარეგისტრირებელი ორგანოსათვის.

### **muxli 10. gimnaziis reorganizacia da likvidacia**

10.1. გიმნაზიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

10.2. ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მმართველი,  
ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე, პ/ნ№60003006928)

---

დამფუძნებლის ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის  
სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი“-ს (ს/კ №430026410)  
გადაწყვეტილება №2

ქ. ზესტაფონი

11.10.2022წ.

1. დამტკიცდეს და განხორციელდეს სახელწოდების ცვლილების რეგისტრაცია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის ს/კ №443569005 საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი“-ს (ს/კ №430026410)

რექტორი:

მარგვეთისა და უბისის ეპარქიის მმართველი,  
ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე, პ/ნ№60003006928)

---